საქართველოში ჩვილების გაშვილებასთან დაკავშირებული პოტენციურად მატრავმირებელი გამოცდილების ფენომენოლოგია

მირანდა ხარაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირანდა ხარაიშვილი, 19.06.2025

აბსტრაქტი

კვლევა ეხება საქართველოში ჩვილობის პერიოდში გაშვილებულ ზრდასრულ ადამიანებში გაშვილების ფაქტის გაგებასთან დაკავშირებული პოტენციურად სტერსული გამოცდილების ფენომენოლოგიურ შესწავლას. კვლევის მთავარი მიზანია იმის გაგება, თუ რა გავლენას ახდენს რესპონდენტებზე საკუთარი გაშვილების შესახებ მიღებული ინფორმაცია, რა გზებს მიმართავენ გამკლავებისთვის და როგორ აისახება ეს ყველაფერი მათ იდენტობაზე.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენებით. შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6-მა ზრდასრულმა ადამიანმა, რომლებიც ჩვილობის ასაკში გააშვილეს, ამის თაობაზე გაიგეს ზრდასრულობაში, და შემდეგ შეძლეს ბიოლოგიური ოჯახის მოძიება. მონაცემთა დამუშავება განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდით, გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი თემა, მათ შორის: ბავშვობის მოგონებები, ეჭვები ბიოლოგიური წარმომავლობის შესახებ, ნაშვილებობის შესახებ გაგება, იდენტობის კრიზისი, ბიოლოგიური ოჯახის ძიება და პოვნა, და გამკლავების სტრატეგიები.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ნაშვილებლობის შესახებ ინფორმაციის მოულოდნელმა გაგებამ რესპონდენტებში გამოიწვია ძლიერი ემოციური რეაქციები, იდენტობის კრიზისი და ბიოლოგიური ოჯახის ძიების ძლიერი სურვილი. ბიოლოგიური ოჯახის პოვნა რესპონდენტებს ხშირ შემთხვევაში დაეხმარა იდენტობის ახალი ნარატივის ფორმირებასა და ემოციური წონასწორობის ნაწილობრივ აღდგენაში. გამკლავების გზები მოიცავდა აქტიური, წარმოსახვითი, ფიზიკური და სოციალური გამკლავების სტრატეგიებს.

კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ გაშვილების თემატიკასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე და მიუთითებს გაშვილებული ადამიანების სუბიექტური გამოცდილებების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გაშვილება, გაშვილებულის იდენტობა, ძიება, გამკლავების სტრატეგიები.

Abstract

This study explores the potentially stressful experiences of learning about being adopted in infancy by adults in Georgia, and peculiarities of coping with these stressful experiences, through a phenomenological lens. The main objective of the research is to understand how the information about being adopted impacts respondents, what coping strategies they employ, and how these experiences influence their identity.

The study was conducted using a qualitative methodology – in-depth interviews. Participants were selected through purposeful sampling. Six adults, who were adopted in infancy, learned about adoption in adulthood and later succeeded in finding a biological family, took part in the study. The data were analyzed by the means of the thematic analysis. Several key themes emerged, including childhood experiences, suspicions about biological roots, learning about the adoption, identity crisis, the search for and discovery of the biological family, and coping strategies.

Findings indicate that the sudden discovery of being adopted triggered strong emotional reactions, identity crises, and an intense desire to search for biological origins. In most cases, finding biological relatives supported the construction of a new identity narrative and contributed to partial emotional stabilization. Coping strategies included active, imaginative, physical, and social approaches.

This study provides valuable insights for mental health professionals working with adoption-related cases and highlights the importance of acknowledging the subjective experiences of adopted individuals.

Key Words: Adoption, Adoptive Identity, Search, Coping Mechanisms.